ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 116

"29" მარტი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე ფართების (ს/კ. №01.14.15.001.300.03.03.005ა; №01.14.15.001.300.03.03.518) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ეკო სოკოსთვის (ს/ნ. 427726348) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე ფართების (ს/კ. №01.14.15.001.300.03.03.005ა; №01.14.15.001.300.03.03.518) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ეკო სოკოსთვის (ს/ნ. 427726348) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 06.03.2024წ. №24.361.407 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ს მე-4 სართულზე (ნიშნული: +9.90) არსებული 36.10 კვ.მ. ფართობის ბინა №5-ის (ს/კ. №01.14.15.001.300.03.03.518) და მე-4 სართულზე (ნიშნული: +9.90) 36.20 კვ.მ. ფართობის ბინა №5ა-ს (ს/კ. №01.14.15.001.300.03.03.005ა) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ეკო სოკოსთვის (ს/ნ. 427726348) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2(ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, აღნიშნულ ფართებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პროფესიული საქმიანობის შესწავლის და დასაქმების მიზნით.

2. შეთანხმებულად ჩაითვალოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით წარმოდგენილი წინადადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 9 ნოემბრის №ბ61.01213132 ბრძანების საფუძველზე გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის სარგებლობის ვადის გასვლის დღიდან ამ განკარგულების საფუძველზე უსასყიდლო უზუფრუქტის გაფორმებამდე პერიოდში ორგანიზაციის მიერ ფართის ფაქტობრივად

სარგებლობისთვის შესაბამისი სარგებლობის საფასურის გადახდის მოთხოვნაზე უარის თქმის საკითხი.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე